

ფრთაღაქიანი დროზოფილას - *Drosophila suzukii* ფიტოსანიტარული რისკის შეფასების
საფუძველზე შემუშავებული

რისკის მინიმიზაციის რეკომენდაციები

Drosophila suzukii-ის რისკის მართვისთვის რეკომენდირებულია ინტეგრირებული მიდგომა, რომელიც მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენებით მავნე ორგანიზმის ფართომასშტაბიან მართვასთან ერთად გულისხმობს სანიტარული-კულტურული ღონისძიებების გატარებას, სათანადო ვადების დაცვით.

1. *Drosophila suzukii*-ის რისკის მართვისას სანიტარული-კულტურულ ღონისძიებების გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს მცენარეთა დაცვის საშუალებების საჭიროებასა და ამაღლებს მართვის ღონისძიებების ეფექტიანობას. იგი მოიცავს:

- ✓ მცენარეთა ახალი გამძლე ჯიშების შერჩევასა და მოსავლის მოყვანის თანამედროვე მიდგომებს, მათ შორის: მოსავლის აღების ვადების, აღების შემდგომი გაციების, ტრანსპორტირებისა და შენახვის სათანადო პირობების დაცვას;
- ✓ მწერებისაგან დამცავი ბადეების გამოყენებას, რომლის დანაყოფის ზომა, მავნებლის პარამეტრებიდან გამომდინარე, რეკომენდირებულია იყოს 1.0×0.6 მმ და უფრო მცირე. ბადეები შესაძლოა დამონტაჟდეს ბაღის კონსტრუქციებზე (მაგ., მაღალ გვირაბებზე);
- ✓ მავნებლების მიმართ ბიოლოგიურ კონტროლს. რაც გულისხმობს: მოსავლის აღების შემდგომ მინდორში ან ბაღში დარჩენილი მოსავლის გატანას, ჩამარხვას ან სხვა სახით უტილიზაციას. რადგან მინდორში ნარჩენი მოსავლის კომპოსტი წარმოადგენს მწერის კვერცხისა და მატლის განვითარებისათვის საკვებს და ხელს უწყობს მავნებლის გამრავლებას.

2. ფართო მასშტაბით მართვა. *D. suzukii*-ს ფართო მასშტაბიანი მართვა ხორციელდება მისი გავრცელების სრულ არეალში. ითვლება რომ, მავნებელს შეუძლია რამდენიმე

კილომეტრზე ფრენა. მნიშვნელოვანია, თითოეულმა მწარმოებელმა მონაწილეობა მიიღოს მავნებლით დაზიანებული ტერიტორიის შიგნითა და მიმდებარე ნაკვეთების დამუშავებაში. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს მდელოებს, სადაც ხილის ხეებია და მიტოვებულ ბაღებს, რადგან ყველა მათგანი წარმოადგენს მავნებლის დამატებით გავრცელების წყაროს. ერთი უკონტროლო მინდორი ან ბაღიც კი შეიძლება გახდეს *D. suzukii*-ს რეზერვაციის წყარო. მნიშვნელოვანია ასევე ბუფერული ზონების მოწყობა.

3. მცენარეთა დაცვის საშუალებები. EPPO-ს მიერ რეკომენდირებულია პრეპარატები: ფოსფორორგანული, პირეტროიდები და სპინოსინები, რომელთა გამოყენებაც ეფექტურად ამცირებს *D. suzukii*-ს იმაგოების რაოდენობას ნაყოფში.

D. suzukii-ს მონიტორინგი ეფუძნება ხილის სიმწიფის დროს ზრდასრული მწერების ფერომონებით დაჭერას ან/და *D. suzukii*-ს იმაგოების საშუალო რაოდენობის დათვლა 1 კგ - ხილზე.

თუ სეზონის დასაწყისში მონიტორინგი მიუთითებს მავნებლის დასახლების მაღალ სიმჭიდროვეზე, პოპულაციის შესამცირებლად გამართლებულია ფოსფორორგანული და პირეტროიდული პრეპარატებით შესხურება. თუ გვიანმა მონიტორინგმა აჩვენა მავნებლით დასახლების მაღალი სიმჭიდროვე, ნაყოფის დასაცავად უნდა იქნას გამოყენებული ბიოინსექტიციდები - სპინოსინები. ვინაიდან როდესაც ნაყოფი იწყებს შეფერვას და შაქრების დაგროვებას იგი ინვაზირებისადმი ყველაზე მგრძობიარეა. კულტურებზე დამატებითი შესხურება უნდა ჩატარდეს მოსავლის აღებამდე. მოსავლის აღების შემდგომ ჩატარებული შესხურებაც ასევე, შეიძლება ჩაითვალოს მავნებლის რაოდენობის შემამცირებელ ღონისძიებად. *D. suzukii* ხშირ შემთხვევაში მოსავლის აღებამდე ნაყოფებში არ შეინიშნება. ამ დროს შესხურება არ არის ეფექტური, რადგან მატლები უკვე ნაყოფშია.

ბიოლოგიური კონტროლის აგენტები, ასევე, შესაძლოა განხილული იყოს *D. suzukii*-ს რისკის ინტეგრირებული მართვის პროცესის მნიშვნელოვან კომპონენტებად. ადამიანისა და გარემოს რისკის მინიმიზაციისათვის. თუმცა ევროპის მაგალითმა


აჩვენა, რომ პოტენციური ბუნებრივი მტრების არსებობა არ არის საკმარისი მავნებლის დამკვიდრების თავიდან ასაცილებლად. ფრა-ზონაში *D. suzukii*-ს ბუნებრივი მტრები და კონკურენცია სავარაუდოდ ვერ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას მავნებლის დამკვიდრების ალბათობასა და ეფექტზე. ფრა - ს არეალში *D. suzukii* -ს შეიძლება გაუწიონ კონკურენცია სხვა მავნებლებმა, როგორცაა *Rhagoletis cerasi* - ალუბლის ბუზი ალუბალზე, *Ganaspis* სახეობები და *Asobara tabida*. *Orius insidiosus* და *Dalotia coriaria* აგრეთვე განიხილება *D. suzukii*-ს მტაცებელ პარაზიტებად. *Drosophila* spp.-ს პარაზიტოიდებად მოხსენიებულია კრაზანებიც და ისინი იაპონიაში განიხილება, როგორც ბიოლოგიური კონტროლის აგენტები. *Leptopilina japonica* და *Asobara japonica* (*Hymenoptera: Braconidae*) *D. suzukii*-ს მატლებითა და ჭუპრებით იკვებებიან, ეტანებიან ჩამოვარდნილ გახრწნილ ნაყოფებსაც. ჩრდილოეთ ამერიკასა და ჩრდილოეთ იტალიაში აღმოჩნდა, რომ *Leptopilina heterotoma* და *Pachecrepoides vindemiae* აპარაზიტებდა *D. suzukii*-ს იმ რეგიონებში სადაც მავნებელი ახლად იყო შეჭრილი. ენტომოპათოგენური სოკოები, როგორცაა *Isaria fumosorosea*, *Metarhizium anisopliae*, *Beauveria bassiana* და *Paecilomyces fumosoroseus*, და ენტომოპათოგენური ნემატოდები *Heterorhabditis bacteriophora*, *Steinernema feltiae* და *S. carpocapsae* ასევე განიხილება, როგორც პოტენციური ბიოლოგიური კონტროლის აგენტები.

რისკის შეფასების სამსახურის უფროსი:



მ. მეტრეველი

მეცნიერ-კონსულტანტი:



ო. რიჟამაძე